

# I

# ი ვ ნ ი ს ი

ზიგითი ქამის IX კვირა

2009

ოქტომბერი

ტობ. I, 3; 2, I-8; ფს. III; მარკ. I2, I-12 I მ  
კახეთის სინაზაზრის წმ. ნინოს  
ეკლესიის დღესასწაული.

კაცმა ვაზი ჩაყარა და წავიდა (მარკ. I2, I)

ჩვენ, ქრისტიანებს, იესომ მისი მრავალი ნიჭით  
ჩვენი პირადი ცხოვრების გამდიდრება, მის  
ეკლესიაზე ზრუნვა და სამყაროს დაცვა  
და გასწივოსნება მოგვანდო.  
ქამთა აღსასრულს იგი მოვა  
და ჩვენი შრომის ნაყოფს მოგვეკითხავს.  
თუ ყველაფერს მისი სიყვარულით გავაკეთებთ,  
მზად აღმოვჩნდებით, სინაზრულით მივიღოთ  
იესო და ისიც დაგვლოცავს.

# 2

# ი ვ ნ ი ს ი

ღირსნი ზაბულონი და სოსანა,  
წმ. ნინოს მშობლები (IV ს.) (მ)

2009

სამშაბათი

ტობ. 2, 9-23; ვს. III; მარკ. 12, 13-17

I მ

ოთნი წელიწადი ბრმა იყო. (ტობ. 2, 10)

უბრალო შემთხვევის შედეგად დაბრმავებულ ტობითს თავისი ამ მძიმე მდგომარეობის მიუხედავადც შესწევდა უფლისთვის მადლობის გადახდის უნარი. როცა ვუმწერო იესოს – ღვთის საყვარელ ძეს, რომელმაც ნებისმიერ ადამიანზე მეტად შეიძნო ტკივილი – ჩვენ ქრისტეიანებმა, ვიცით, რომ ჩვენი ტანჯვა ძვირფასია, რომლისთვისაც მამა ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ: მისი ძის ჯვარცმის ტანჯვას დართული ჩვენი სატკივარი ზეცის კარს აღებს და მოწყურებულ მიწას მადლის წვიმა ნამავს.

# 3

# ი ვ ნ ი ს ი

წმ. კარლო ლუანგა (მ)

2009

ოთხშაბათი

ტობ. 3, I-II.16-17; ფს. 24; მარკ. 12, 18-27 I ♯

არიან, როგორც ანგელოზები ცაში.

(მარკ. 12, 25)

დღეს იესო გვიცხადებს, რომ გარდაცვლილები მკვდრეთით აღდგებიან და ემოციურ კავშირთან თავისუფლები იცოცხლებენ. მათი სიცოცხლე მხოლოდ უფალს მიეძღვნება, მსგავსად ღვთის ანგელოზთა სიცოცხლისა.

ჩვენს შორის, ქრისტიანთა შორის ცალკეული ადამიანები ახლავე გზობნებენ ადამიანურ კავშირთან თავისუფლად ცხოვრების ამ მოწოდებას: მათი მდგომარეობა ყველასთვისაა წინასწარმეტყველება! მზავალი წმიდანის ცხოვრება ჩვენთვის მისაბაძი მაგალითია.

# 4 ი ვ ნ ი ს ი

2009

სუთშაბათი

ტობ. 6, 10-11; 7, 1.8-17; 8, 4-9; ფს. 127;  
მარკ. 12, 28-34

I მ

შოზს არ დგახარ  
ღვთის სასუფეველისაგან. (მარკ. 12, 34)

იესო ჭეშმარიტი და ერთადერთი მოძღვარია.  
მან ყველაფერი იცის, ის კარგად გვიცნობს,  
თუ როგორები ვართ გულის სიღრმეში  
და შეუძლია გვითხრას, ჩვენი სულიერი ცხო-  
ვრების რა ეტაპზე ვიმყოფებით.  
გმადლობ, იესო.  
შენ მოგენდობი,  
შენს ბრძნულ მითითებებს შევისმენ.

# 5

# ი ვ ნ ი ს ი

წმ. ბონიფაციუსი (მ)

2009

პარასკევი

ტობ. II, 5-18; ფს. 145; მარკ. 12, 35-37

I ♯

გსედავ შენ შვილო,  
ჩემი თვალების სინათლე. (ტობ. II, 13)

შორი მოგზაურობიდან დაბრუნებულ ტობიას ანგელოზი რათაელი ახლავს თან. მისი მითითების თანახმად, ტობია მამის ბრძმა თვალებს მდინარეში დაჭერილი თევზის ნაღველს უსვამს. მამას თვალი აეხილება და ტობია რწმუნდება, რომ ღვთის რწმენას ყოველთვის მოაქვს შედეგი. უმნიშვნელოა, თუ შედეგის მოლოდინი წლების მანძილზე გრძელდება: ასეთ შემთხვევაში სინაზული კიდევ უფრო ძლიერია!

# 6 ი ვ ნ ი ს ი

2009

შაბათი

ტობ. 12, 1.5-15.20; საგ. ტობ. 13, 2.7-8;  
მაზკ. 12, 38-44

I მ

ერიდეთ მწიგნობრებს. (მაზკ. 12, 38)

ჩვენთვის იესოს მოხმობა  
შეიძლება ამგვარად შევხედოთ:  
დაიცავით თქვენი გზებები  
და აზრები ამაოების, ზედაპირულობის,  
თვალთმაქცობის ყოველი „ნიავისგან“;  
დაე თქვენი ცხოვრება განიმსჭვალოს  
ჭეშმარიტი სიწმიდით:  
მოსიყვარულე, მუდამ  
და მხოლოდ ღვთის დიდების  
მაძიებელი სიწმიდით.

# 7

# ი ვ ნ ი ს ი

ზიგითი უამის X კვირადღე;  
ყოვლადწმიდა სამება (ღღ)

2009

კვირა

ზჯლ. 4, 32-34.39-40; ფს. 32; ზომ. 8, I4-I7;  
მათ. 28, I6-20

ს თ

მე თქვენთანა ვარ დღენიადაგ  
საუკუნის დასასრულამდე. (მათ. 28, 20)

ეს გასაოცარი ჭეშმარიტება იესომ მოწაფეებს  
ზეცად ამაღლდებამდე გამოუცხადა, რის შემ-  
დეგაც ჩვენს თვალთათვის უხილავი შეიქმნა.

ჩვენთვის, მოზწმუნეთათვის ეს გასაოცარი  
რეალობაა: ის ყოველი მისი განსენებისას  
გვეხმარება და გვანუგეშებს.

მისი თანსწრება ღვთის თანსწრებაა,  
ზომელიც იხსნის თავის ხალხს  
და სიცოცხლის სისრულეს უბოძებს მას.

# 8

# ი ვ ნ ი ს ი

2009

ოქტომბერი

2 კობ. I, I-7; ფს. 33; მათ. 5, I-12

II მ

ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან  
ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას (მათ. 5, 5)

თვინიერნი მუდამ აქ არიან,  
მათთან მიახლოება მარტივია, თუმცა  
ისინი არასოდეს ახვევენ თავს ადამიანებს.  
იესო თვინიერი ადამიანია,  
მისგან შეგვიძლია ვისწავლოთ თვინიერება.  
იგი გვაძლევს სულიწმიდას,  
რომლის ჩვენში მოქმედებაც  
თვინიერების ნაყოფს წარმოქმნის.  
თვინიერს ყოველივეზე მიუწვდება ხელი,  
მთელი ქვეყანა მისია!



# 9

# ი ვ ნ ი ს ი

წმ. ეფრემ დიაკონი და ეკლესიის  
მოძღვარი (ნ.მ); ღირსი მიქაელ  
პარესელი (ნ.მ)

## 2009

## სამუხათი

2 კობ. I, 18-24; ფს. 118; მათ 5, 13-16

II მ

რწმენაში მტკიცენი ხართ. (2 კობ. I, 24)

ჰავლე შეახსენებს კორინთელებს,  
რომ ისინი მარტონი არ არიან ამ განსაცდელში  
და რომ ძვირფასი ნიჭი აქვთ მიღებული.  
ღმრთისადმი კუთვნილების ნიშანი –  
სულიწმიდა და რწმენა ის განძია,  
რომელიც მოფრთხილებას საჭიროებს!  
გმადლობთ, იესო,  
რომ შენი სიყვარულის ძალით  
სიმტკიცეს და გულახდილობას გვაძლევ  
იმის დასამოწმებლად,  
რომ კეთილი მამის შვილნი ვართ!

# IO ი ვ ნ ი ს ი

2009 ოთხშაბათი

2 კობ. 5, 14-21; ფს. 102; მათ. 5, 33-37 II ო

ის ყველასთვის მოკვდა (2 კობ. 5, 15)

მწამს, იესო, რომ შენ

სასიკვდილო განაჩენი გამოგიტენეს,  
რათა მე და ყველა ადამიანი მარადიული  
სიკვდილისაგან ვყოფილიყავით ხსნილნი.

ჩვენი ცოდვის გასაუქმებლად  
მამა ღმერთს შენი თავი მიუძღვენი,  
რათა ჩვენ მასთან მიბრუნება და,  
ზოგორც მის შვილებს,  
უშიშრად ცხოვრება შეგვძლებოდა.

გმადლობ, იესო!

მსურს შენთვის, შენთან ერთად,  
შენი ღანძარებით ვიცხოვრო.

# II

# ი ვ ნ ი ს ი

ქრისტეს უწმიდესი სოფელი  
და სისხლი (დღ)

2009

სუთშაბათი

ეზეკ. 24, 3-8; ფს. 115; ებრ. 9, 11-15;  
მათ. 14, 12-16.22-26

ს თ

ეს არის ჩემი სისხლი  
მრავალთათვის დაღვრილი. (მათ 14, 24)

ამ სიტყვებით წმიდა წირვის დროს ცხადდება  
სიცოცხლის წყარო, რომელიც მამა ღმერთმა  
ჯვარზე იესოს მსხვერპლშეწირვით გვიბოძა.  
მოვიხმოთ ეს სისხლი, რომელიც განწმედს  
და კურნავს ჩვენს სნეულებებს და ყველა  
ჩვენს უკეთურებას, ჩვენზე, ჩვენს შვილებზე,  
ჩვენს საკრებულოზე, მიეღოს ეკლესიაზე.

ამ დაღვრილ სისხლში  
სამყაროს ჯანმრთელობაა დაფარული!

# I 2 ი ვ ნ ი ს ი

წმ. გასპარე ბერტონი, სტიმატინთა  
კონგრეგაციის დამაარსებელი (ნ.მ)

2009

პარასკევი

2 კობ. 4, 7-15; ფს. 115; მათ. 5, 27-32

II მ

ყოველი, ვინც ირთავს  
გაშვებულს, მრუშობს (მათ. 5, 32)

იესო კვლავაც გვიბოძებს ნათელს, რათა მამა  
ღმერთის ნების თანახმად ვიცხოვროთ.

ვინც ქოჩწინდება, ღვთისთვის სასურველი  
გზით უნდა დაქოჩწინდეს,

ვისაც ჩვენთვის სიკეთე უნდა, სიკეთე,  
რომელიც დიდხანს გამოიღებს ნაყოფს.

არ შეიძლება ღვთის მიერ სხვა

მამაკაცისთვის მიცემული ქალის მოყვანა.

მოდო, სულიწმიდავ, ჩვენს დასახმარებლად!

# I3 ი ვ ნ ი ს ი

წმ.ანტონი პადუელი (მ)

2009

შაბათი

2 კობ. 5, 14-21; ფს. 102; მათ. 5, 33-37

II V

მოდი და შესწირე შენი ძღვენი (მათ. 5, 24)

უფალო, შენ გვიღებ ჩვენ,  
ზოდესაც დიდების, ვედრების,  
შესაწირის მოწვევინა გვსურს შენთვის.  
ზოგორც კეთილი მშობელი,  
შენ ჩვენს თვალებში,  
ჩვენს გულში იხედები:  
გსურს, იქ სიყვარულის სიწმიდე და  
თანამოძმეებთან თანხმობა ამოიკითხო,  
სიწმიდე და თანხმობა,  
ზაც შენთვის სასურველად აქცევს  
ჩვენს ცხოვრებას.

# I4

# ი ვ ნ ი ს ი

ზიგითი წამის XI კვირადღე;

2009

კვირა

ეზეკ. 17, 22-24; ფს. 91; 2 კობ. 5, 6-10; მზკ. 4, 26-34 III მ

თესლი აღმოცენდება და იზრდება.

(მზკ. 4, 27)

იესოს ოპტიმიზმი კარგად ჩანს.  
მას თავისი საქმისა სჯერა,  
იდეების ძალის სწამს და იცის,  
რომ ღვთის სიტყვას ყველაფერი შეუძლია.  
იმისათვის, რომ სიტყვამ  
ნაყოფი გამოიღოს საკმარისია  
მხოლოდ მისი დათესვა,  
სახარების გაცხადებით:  
დანაზრჩენი თავისით მოვა.

# 15 ი ვ ნ ი ს ი

2009

თრშაბათი

2 კობ. 6, 1-10; ფს. 97; მათ. 5, 38-42

III მ

ვინც გთხოვოს, მიეცი. (მათ. 5, 42)

მშობლები სედავენ, როგორ უჭირთ ბავშვებს „გაცემა“ – ზაიმეს, თუნდაც უმნიშვნელოს, დათმობა თავიანთი ძმისთვის.

ლოცვით ნასაზრდოები გულის კარნახით შეგვიძლია შევაშველოთ ჩვენს პატარებს სიტყვები და ქესტები, რომლებიც მათ გულმოწყალების გათავისებაში დაეხმარება: ეს გასაოცარი ზამ აზრის, თუმცა ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები, ზეციური მამის შვილები ვართ, მას მუდამ ძალიან მცირე მნიშვნელობას ვანიჭებთ.

# I6 ი ვ ნ ი ს ი

2009

სამშაბათი

2 კობ. 8, I-9; ფს. I45; მათ. 5, 43-48

III მ

ზათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის  
ძენი. (მათ 5, 45)

იესო ეუბნება თავის მიმღევრებს: „გიყვარდეთ  
თქვენი ძტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები,  
ზათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი“.

ადვილი არ არის საკუთარ გრძნობებზე უარის  
თქმა იესოს ამ სიტყვების თანახმად  
მოსაქცევად. ამისთვის საჭიროა, ღმერთი სა-  
კუთარ თავზე მეტად გვიყვარდეს.

ასე თუ მოვიქცევით, ვინილავთ ღვთის  
შვილებად ყოფნის აურაცხელ სიკეთეს,  
ვნახავთ, როგორ შემოდის ჩვენში  
მისი სიცოცხლე.



# I7 ი ვ ნ ი ს ი

2009

ოთხშაბათი

2 კობ. 9, 6-II; ფს. III; მათ 6, 1-6.16-18 III მ

## სინარულით გამცემი უყვარს ღმერთს. (2 კობ. 9, 7)

ერთხელ ისე მოხდა, რომ მცირედი თანხის შეწირვის შესაძლებლობა მომეცა. ვიცოდი, რომ ამ ფულის გაღებით ჩემი ცხოვრება არ შეიცვლებოდა, სხვა ადამიანს კი ამით დახმარებას გავუწევდი. თანხა მშვიდად გავიღე. ხანგრძლივი დროის შემდეგ შევიტყვე, რომ თანხის მიძღება ორმაგი სარგებელი ნახა: ვალის გასტუმრება შეძლო და გააცნობიერა, რომ უფლის ხელი იყო მასზე, მისი სიყვარული იგრძნო.

# 18 ი ვ ნ ი ს ი

2009

სუთშაბათი

2 კობ. II, I-II; ფს. 110; მათ. 6, 7-15

III მ

გვისსენ ჩვენ ბოროტისაგან. (მათ. 6, 13)

გამათავისუფლე დღეს, უფალო იესო:  
გამათავისუფლე სიჩქარისა და არასანარბიელო  
შთაბეჭდილების მოხდენის შიშისგან,

გამათავისუფლე სხვისი განსჯისა  
და დაყოფის, შურის, გულგატეხილობის,  
შენდამი უნდობლობისაგან...

თავისუფალი და ახალი გულით შევძლებ  
სოცბა მოგიძღვნა, ვიგემო შენი სიყვარული,  
გემსახურო მთელი ჩემი ძალებით.

# I9

# ი ვ ნ ი ს ი

იესოს ღმრთიური გული (ღღ)

2009

პარასკევი

ოს. II, I.3-4.8-9; საგ. ეს. I2, 2-6; ეფეს. 3, 8-12. I4-19;  
იოან. I9, 31-37 ს თ

სინაზავრის ეკლესიის დღესასწაული

მან იცის, რომ ჭეშმარიტებას ამბობს,

რათა თქვენ ირწმუნოთ (იოან. I9, 35)

წმ. იოანე, რომელმაც თავი მიიდრიკა იესოს  
მკერდზე, ვისაც ის ძლიერ უყვარდა, მტკი-  
ცედ და დარწმუნებით გვამცნობს, რომ უფალი  
სიკვდილის შემდეგ გულში იქნა განგმირული  
ჯარისკაცის შუბით და რომ ეს წინასწარმეტ-  
ყველთა მიერ იყო განჭვრეტილი და მოხდა ყვე-  
ლა იმ ადამიანის სახსნელად, ვისაც სწამს მისი.

ჩვენც გვინდა მადლობა გითხრათ,

უფალო იესო!

# 20 ი ვ ნ ი ს ი

წმ. მმანი დავითი და ტარიჭანი, წამ.  
(† 693წ.)

2009

შაბათი

ეს. 6I, IO-II; საგ. I მეუ 2; ლუკ. 2, 4I-5I ს ო

მოიღხენს ჩემი სული ჩემს  
ღმერთში. (ეს. 6I, IO)

მეც მსურს, მაღლობა გითხრა  
და დაგლოცო, ჩემო უფალო და ღმერთო,  
ჩემო სინაზულო და მწუნაზებავ!  
შენ მომეცი დედა,  
რომელიც არასოდეს მივიწყებს,  
დედა, რომელიც მუდამ თავისი  
სხვა მის სიანლოვეს მაყენებს  
და მის ყურადღებას შეავედრებს ჩემს თავს!  
ამ დედის ღიალი გული ყველა ჩვენგანს იტევს!

# 21 ივნისი

ზიგითი ყამის XII კვირადღე

2009

კვირა

იაზ. 38, I.8-II; ფს. 106; 2 კორ. 5, I4-I7; მზკ. 4, 35-4I IV მ

უთნრა ზღვას: „დადუმიდი, ჩადექ!“

(მზკ. 4, 39)

ზოგჯერ, როცა სირთულეების პირისპირ ვდგავართ, ღმერთს ისე ვუყურებთ, როგორც პირს, რომელსაც ჩვენი დახმარება შეუძლია და რომელიც უნდა დაგვეხმაროს. ალბათ, იმასაც ვფიქრობთ, რომ დიდი ზწმენა გავვაჩნია...

დღევანდელი სახარების მეშვეობით იესო თავად გვეხმარება, დავინახოთ იგი, რათა შევიცნოთ არა როგორც „ის, ვისაც შეუძლია“, არამედ, როგორც „ის, ვინც არის“.

მისი, როგორც ღვთის ძისა და ზწმენით გასავლელი ჩვენი ცხოვრების უფლის, შეცნობით, მარადიულ სიცოცხლეს ვიღებთ.

# 22 ი ვ ნ ი ს ი

2009

ორშაბათი

ღაბ. 12, 1-9; ფს. 32; მათ. 7, 1-5

IV მ

წავიდა აბრამი, როგორც უთხრა  
მას უფალმა. (ღაბ. 12, 4)

ბიბლიაში დასაწყისიდანვე გვხვდება  
ადამიანისადმი ღვთის მოთხოვნა,  
მიენდოს მას და სიყვარულით  
დაემორჩილოს მის სიტყვას.  
ჩვენმა შემოქმედმა ჩვენზე უკეთ იცის  
ისიც, თუ რა გვჭირდება  
და ისიც, თუ რისი შემძლენი ვართ.  
ნეტარ აზიან ისინი,  
ვინც უფალს მიენდობა  
და მისი გზით მიდის.

# 23 ი ვ ნ ი ს ი

2009

სამშაბათი

ღაბ. I3, 2.5-18; ფს. I4; მათ. 7, 6.12-14

IV მ

ვიწროა გზა, რომელსაც  
სიცოცხლისაკენ მიჰყავს. (მათ. 7, 14)

ყველა ცდილობს უკეთესი  
და უფრო უსაფრთხო ცხოვრება მოიწყოს,  
ამისთვის კი ადამიანები დარბიან  
და იქანცებიან.

ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე საუბრისას  
სასურველია, სხვებს კი არ მივყევით,  
არამედ ყურადღებითა და ცოდნით  
შევამოწმოთ, თუ ვის ხელში ვაქცევთ  
ჩვენს მომავალს, ჩვენს მარადისობას.  
საიმედო მეგზური ვეძიოთ!

# 24 ი ვ ნ ი ს ი

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა (დღ)

2009

ოთხშაბათი

ეს. 49, 1-6; ფს. 138; საქ. 13, 22-26; ლუკ. 1, 57-66.80

ყველას გაუკვირდა. (ლუკ. 1, 63)

გასაოცარია ის, რასაც მამა ღმერთი მათში  
ქმნის, ვისაც ის უყვარს!

ამის მაგალითი მისი წმიდანების ცხოვრებაა.

დღეს, წმიდა იოანე ნათლისმცემლის

შობის სახარებაში ვხედავთ,

რომ ღვთის ნაფიქრი ჩვენისგან განსხვავდება

და რომ მისთვის ყველაფერი შესაძლებელია.

ამგვარად განვმტკიცდებით

უფლის რწმენაში, მისი მადლიერნი ვართ.



# 25 ი ვ ნ ი ს ი

2009

სუთშაბათი

დაბ. I6, I-12.I5-16; ფს. I05; მათ. 7, 21-29 IV მ

მოსმენელი ბზძენია. (მათ. 7, 24)

მოსმენა სიყვარულისა და ნდობის ნიშანია:

მეუღლე მეუღლეს უსმენს,

შვილი - მამას,

მეგობარი ქალი-მეგობარ ვაჟს...

იესოსადმი ჩვენი სიყვარულიც

მისი სიტყვების მოსმენით იწყება:

ისინი შეიტყვევენ სიბზძენეს,

რომელსაც ძალუძს

მისცეს ჩვენს ცხოვრებას სინათლე,

სტაბილურობა, სისრულე.

# 26 ი ვ ნ ი ს ი

წმ. იოსებ მარია ესკრიბა (ნ.მ)

2009

პარასკევი

ღაბ. 17, 1.4-5.9-10.15-22; ფს. 127; მათ. 8, 1-4 IV მ

განიწმიდა იგი თავისი კეთრისაგან

(მათ. 8, 3)

ზოცა მოზჩილად, მთელი გულით  
მივმართე უფალს დანმარებისთვის,  
მან ჩემი თხოვნა შეისმინა, იგივე სდება ყო-  
ველთვის, ზოცა ცოდვათაგან ჩემს გაწმნდას  
ვთხოვ: ის თავის მსახურთა მეშვეობით

მისრულებს სათხოვარს.

გმადლობ, უფალო იესო!

მადლობელი ვარ აგრეთვე

შენი წმიდანებისთვის,

რომლებიც მაგალითსა და მხნეობას

გვაძლევენ, ზათა გვწამდე!

# 27 ი ვ ნ ი ს ი

წმ.კირილე ალექსანდრიელი (ნ.მ)

2009

შაბათი

დაბ. 18, 1-15; საგ. ლუკ. 1, 46-55; მათ. 8, 5-17 IV მ

ყველა სწეული განკურნა. (მათ. 8, 16)

იესო განკურნავს და აჯანსაღებს  
სელის შენებით და თავისი სიტყვით,  
რომელიც მის ნათქვამს ასრულებს.  
ვუახლოვდებით მას, მის სახარებას,  
მისი ნადიმის სუფრას.

ვუახლოვდებით, რათა მან თავისი  
სიყვარულის მოცემა შეძლოს ჩვენთვის.  
მას ჩვენი სისუსტეების გამოც  
ვეტყვიით მადლობას და მივუძღვნით მათ მას,  
როგორც ჩვენი ღოცვის გამოხატულებას.

# 28

# ი ვ ნ ი ს ი

ზიგითი უამის XIII კვირადღე

## 2009

## კვირა

სიბზძ. I, 13-15; 2, 23-25; ფს. 29; 2 კორ. 8, 7.9.13-15;  
მათ. 5, 21-43 I მ

მყისვე წამოდგა და გაიარა. (მათ. 5, 42)

იესოს სიტყვის წყალობით,  
მკვდარი ბავშვი ფეხზე დადგა და გაიარა.  
იესოს ყოველი სიტყვა მაცოცხლებელი  
სიყვარულის ძალის მატარებელია;  
ამგვარად, როცა სასწარების  
რომელიმე მუხლს ვინსენებთ,  
უბრალოდ ვიმეორებთ მას ჩვენთვის,  
ამ დროს თვით ღვთის სიცოცხლე  
გვაცოცხლებს, გვამაგრებს,  
გვანაყოფიერებს.

# 29 ი ვ ნ ი ს ი

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულები  
(ღღ)

2009

ოქტომბერი

საქ. 12, 1-11; ფს. 33; 2 ტიმ. 4, 6-8. 17-18; მათ. 16, 13-19 სწ  
წმ. პეტრე და პავლეს ეკლესიის დღესასწაული  
(თბილისი). შემოწირვა პანისათვის

შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი  
ღვთისა. (მათ. 16, 16)

რწმენის ამ აღსარებაში მოქცეულია ლოცვა  
და იმედი ხალხისა, რომელიც საუკუნეთა  
მანძილზე ელოდა თავის მხსნელს.  
პეტრეს ცხოვრებაც რწმენამ შეცვალა,  
და ეს არ ყოფილა ადვილი! რწმენამ  
მიანიჭა ახალი ნათელი პავლეს გონებას.  
თავისი ნაწერებით პავლე კვლავაც გვემარება  
იესოს გზავნილის მნიშვნელობის გაგებაში.

# 30 ივნისი

წმ. შალვა ახალციხელი (†1227წ)  
(ნ.მ)

2009

სამუშაოთი

ღაბ. 19, 15-29; ფს. 25; მათ. 8, 23-27

I მ

უფალო, გვიხსენი, ვილუპებით!

(მათ. 8, 25)

ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ღმერთს  
არ აინტერესებს ადამიანთა საქმეები,  
ჩვენი განცდები, მაგრამ ეს ასე არაა.  
ზოგორც კეთილი მამა და ზოგორც ღედა,  
ის მუდამ ფიზიკურად თითოეულ ჩვენგანზე  
და მზადაა, დაგვეხმაროს.  
მტკიცედ მივეწოდეთ მას და იესოს, მის ძეს!